

საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემა

დაცული ტერიტორიების სისტემა სხვადასხვა კატეგორიისგან შედგენილი ქსელია, რომელიც ფუნქციონირებს და იმართება როგორც ბუნების დაცვისა და მდგრადი განვითარების ერთიანი სისტემა. დაცული ტერიტორია ის ტერიტორიაა, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური სტატუსი, რათა დაცული იყოს აღნიშნული ტერიტორიის ფიზიკური მახასიათებლები და კულტურული მემკვიდრეობა. დაცული ტერიტორია შეიძლება იყოს სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, აღკვეთილი ან მიწის სხვა ფართი.



ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი (ინგლ. International Union for Conservation of Nature - IUCN) არაკომერციული საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის მიზანია ბუნების კონსერვაცია/დაცვა. კავშირი 1948 წლის ოქტომბერში საფრანგეთის ქალაქ ფონტენბლოში დაარსდა. მისი შტაბბინა შვეიცარიის ქალაქ გლანდში მდებარეობს. კავშირი მსოფლიოს 82 ქვეყანას, 111 სამთავრობო უწყებას, 800 არასამთავრობო ორგანიზაციას და მსოფლიოს 181 ქვეყნის 10 000 მეცნიერსა და ექსპერტს აერთიანებს. IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით, დაცული ტერიტორია 6 კატეგორიისგან შედგება: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიები.

დაცული ტერიტორია	მიზანი	კატეგორია (IUCN)
სახელმწიფო ნაკრძალი	შვადრე დაცვა, საგანმანათლებლო და არამანიპულაციური კვლევები სპეციალური ნებართვით	I
ეროვნული პარკი	ეკოსისტემების კონსერვაცია, განათლება, ტურიზმის განვითარება	II
ბუნების ძეგლი	ბუნების თავისებურებების კონსერვაცია (მცირე ზომის განსაკუთრებული ტერიტორიის დაცვა)	III
აღკვეთილი	ბუნების დაცვა და შენარჩუნება აქტიური მართვის გზით	IV
დაცული ლანდშაფტი	ლანდშაფტის და/ან ზღვის აკვატორიის კონსერვაცია და ტურიზმის განვითარება	V
მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია	ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება	VI


საქართველოში ბუნებრივი ტერიტორიების დაცვის ისტორია საუკუნეების წინ დაიწყო. ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში თამარ მეფემ (1160-1213) გამოსცა სამეფო ბრძანება ზოგიერთი ტერიტორიის დასაცავად, ხუთი საუკუნის შემდეგ კი ვახტანგ VI-ის (1675-1737) "კანონთა კრებულში" მოხსენიებულია ყორღის ტერიტორია როგორც დაცვის ობიექტი, სადაც აკრძალული იყო ხეების მოჭრა და სეირნობა, ტერიტორიას კი მცველები იცავდნენ. მთიან რეგიონებში არსებობდა ეგრეთ წოდებული "ხატის ტყეები", რომლებიც მკაცრ დაცვას ექვემდებარებოდა და ტიპურ ნაკრძალებს წარმოადგენდა.

პირველი ოფიციალური დაცული ტერიტორია, ლაგოდების ნაკრძალი, 1912 წელს კახეთში შეიქმნა. მე-20 საუკუნის განმავლობაში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თანდათან სხვა ნაკრძალები და დაცული ტერიტორიებიც

დაფუძნდა. 1996 წელს საქართველოს პარლამენტმა ჩვენი ქვეყნის თვითმყოფადი და უნიკალური ბუნებრივ-კულტურული გარემოს მნიშვნელობის გათვალისწინებით მიღებულ იქნა კანონი "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ". ეს კანონი ქმნის იურიდიულ საფუძველს დაცული ტერიტორიების დასაარსებლად, რომელთა დანიშნულებაა, დაიცვას ქვეყნის ღირშესანიშნავი ბუნებრივი გარემო და ძვირფასი კულტურული მემკვიდრეობა. შედეგად, საქართველოში დაკანონდა საერთაშორისო კრიტერიუმებისა და ნორმების შესატყვისი დაცული ტერიტორიების კატეგორიები და მათი ჩამოყალიბების პროცედურა, რომელიც კონსერვაციის მსოფლიო კავშირის რეკომენდაციებს ემყარება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიების ქსელის სისტემურ დაგეგმვას, დაცული ტერიტორიების დაარსებასა და მართვას. დეპარტამენტი ახორციელებს ზედამხედველობას დაცული ტერიტორიების მთელ სისტემაზე, რათა დაიცვას ცოცხალი ორგანიზმების თანაარსებობისთვის საჭირო ეკოსისტემები, ბიომრავალფეროვნება და ბუნებრივი რესურსები და ხელი შეუწყოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კვლევებსა და ტურიზმის განვითარებას.

ამჟამად დაცულ ტერიტორიებს საქართველოს მასშტაბით ნახევარი მილიონი ჰექტარი უკავია, რაც ქვეყნის ფართობის დაახლოებით 8%-ს უდრის. დაცული ტერიტორიების დაახლოებით 75% ტყით არის დაფარული. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის 2010 წლის მონაცემებით, დღესდღეობით საქართველოში 16 სახელმწიფო ნაკრძალი, 10 ეროვნული პარკი, 22 ბუნების ძეგლი და 18 აღკვეთილი ტერიტორიაა.



საქართველოს დაცული ტერიტორიები

ნაკრძალი	ეროვნული პარკი	ბუნების ძეგლი	აღკვეთილი	დაცული ლანდშაპი
1. ბაგრატიონი	1. ალგეთი	1. არწივის ხეობა	1. აჯამეთი	1. თუშეთი
2. ბაწარა	2. ბორჯომ-	2. თეთრი მღვიმე	2. გარდაბნის	2. კინტრიში

3. ბიჭვინთა	ხარაგაული	3. იაზონის მღვიმე	3. ილტოს
4. მიუსერა	3. ვაშლოვანი	4. ნაგარევის მღვიმე	4. ივრის
5. ბორჯომი	4. თბილისი	5. ნავენახევის მღვიმე	5. კაცობურის
6. ვაშლოვანი	5. თუშეთი	6. ოკაცეს კანიონი	6. ლაგოდეხის
7. თუშეთი	6. კოლხეთი	7. ოკაცეს ჩანჩქერი	7. ნეშვის
8. კინტრიში	7. მტირალა	8. საკაჟის მღვიმე	8. ქობულეთის
9. ლაგოდეხი	8. ყაზბეგი	9. ტახტიეთეფას ტალახის ვულკანები	9. ყორულის
10. ლიახვი	9. ჯავახეთი	10. ყუმისთავის მღვიმე	10. ჭაჭუნის
11. მარიამჯვარი	10. მაჭახელა	11. ცუცხვათის მღვიმოვანი	11. ხანჩალის ტბის
12. რიწა		12. წყალწითელას ხეობა	12. ბულდაშენის ტბის
13. სათაფლია		13. ხომულის მღვიმე	13. კარწახის ჭაობის
14. ფსხუ		14. ჯუმას ყურე	14. სულდის ჭაობის
15. გუმისთა		15. პრომეთეს მღვიმე	15. მადათაფის ტბის
16. ქობულეთი		16. გაბზარული ტბა	16. სულდა
		17. საწურბლიას მღვიმე	17. თეთრობი
		18. სოლკოტას მღვიმე	18. ქცია-ტაბაწყური
		19. დიდელის მღვიმე	
		20. მელიურის მღვიმე	
		21. ბლერის მღვიმე	
		22. ღლიანას მღვიმე	

2010 წლის მონაცემებით, საქართველოში ორი დაცული ლანდშაფტია: თუშეთისა და კინტრიშისა. მომავალში იგეგმება ფშავ-ხევსურეთის, ცენტრალური კავკასიონისა და სათაფლიის დაცული ტერიტორიების შექმნა.

დაცული ტერიტორიების მოვლა კატეგორიების მიხედვით ხდება. მაგალითად, ნაკრძალი უნდა იყოს ხელუხლებელ მდგომარეობაში, ბუნებრივი პროცესები იქ ადამიანის ჩაურევლად უნდა მიმდინარეობდეს, თუმცა შესაძლებელია მოვლითი ღონისძიებების ჩატარება. მათი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ არამანპულაციური სამეცნიერო კვლევისთვის, მონიტორინგისთვის, დაკვირვებისთვის, ასევე სასწავლო-საგანმანათლებლო მიზნებისთვის, რათა მოქალაქეებმა, სტუდენტებმა, სკოლის მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რა დიდი ფასეულობა და დაცვითი ფუნქცია აქვს ამ ტერიტორიებს.

ეროვნული პარკი გამოირჩევა ეკოსისტემებით. ის, გარდა იმისა, რომ დაცული ტერიტორიის ფუნქცია აქვს, ტურიზმის განვითარების საშუალებასაც იძლევა, რაც იქ მცხოვრებ ხალხს გარკვეულ შემოსავალს მოუტანს, თუმცა ვიზიტორების ჭარბმა რაოდენობამ შესაძლოა ბიომრავალფეროვნების დეგრადაცია გამოიწვიოს. ამგვარ ტერიტორიაზე არის ტრადიციულ-აქტიური ზონები, სადაც ნებადართულია მოსახლეობისთვის ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა: სამკურნალო მცენარეების, ხე-კენკრის შეგროვება, თიბვა, საქონლის მოვება, შემის მოპოვება, მაგრამ აკრძალულია ხვნა-თესვა.

აღკვეთილი შესაძლოა დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის მქონე ცოცხალი ორგანიზმის ველური სახეობების, სახეობათა ჯგუფების, ბიოცენოზებისა და არაორგანული ბუნების წარმონაქმნების შესანარჩუნებლად საჭირო ბუნებრივი პირობების დასაცავად, რაც ადამიანის მხრიდან სპეციალურ აღდგენით და მოვლით ღონისძიებებს მოითხოვს. აღკვეთილში მკაცრი კონტროლის პირობებში ნებადართულია ცალკეული განახლებადი რესურსის მოხმარება. აღკვეთილი საჭიროებს ეროვნულ და, ცალკეულ შემთხვევებში, საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე სახმელეთო ტერიტორიას ან/და აკვატორიას, სადაც ცოცხალ ორგანიზმთა იშვიათი, უნიკალური, დამახასიათებელი და "წითელ ნუსხაში" შეტანილი, გადაშენების პირას მყოფი სახეობები და ეკოსისტემის ცალკეული მნიშვნელოვანი კომპონენტებია წარმოდგენილი. აღკვეთილი შესაძლოა შედიოდეს ბიოსფერული რეზერვატის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის და სხვა დაცული ტერიტორიის შემადგენლობაში და ასევე მოიცავდეს ბუნების ძეგლს. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია, აღკვეთილში სხვადასხვა ზონა მოეწყოს. ნებადართულია თევზჭერა, ნადირობა და სამონადირეო მეურნეობის მოწყობა.

დაცულ ტერიტორებზე რესურსების უკანანოდ მოხმარებისას საქმეში ერევა გარემოს დაცვის სამსახური (რეინჯერები) და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კოდექსის მიხედვით, დაწესებულია ჯარიმები. ამას გარდა, პიროვნებას დაზიანებული ტერიტორიის ანაზღაურება ეკისრება.

დაცული ტერიტორების შექმნას ან გაუქმებას წყვეტს საქართველოს პარლამენტი, თუმცა ვიდრე საკითხი პარლამენტამდე მივა, მანამდე შესაძლოა წინადადება წამოაყენოს არასამთავრობო ორგანიზაციამ, კონკრეტული ტერიტორიის გამგეობამ. ამის შემდეგ იქ მიდის ჯგუფი, რომელიც სწავლობს, რამდენად მნიშვნელოვანი, მრავალფეროვანია ეს ტერიტორია და მზადდება დასკვნა, სადაც მითითებულია, რომ მიზანშეწონილია, ეს ტერიტორიები დაცულად გამოცხადდეს. ეს დასკვნა წარედგინება სამინისტროს, რომელიც მას პარლამენტში განიხილავს, სადაც წინადადებას დააკმაყოფილებენ ან უარყოფენ.

ბოლო წლებში შექმნილი დაცული ტერიტორიებიდან აღსანიშნავია 1996 წელს ბორჯომ-ხარაგაულის სამონადირეო მეურნეობის ეროვნულ პარკად, აღკვეთილად გადაკეთება (ის მოიცავს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს, ნემვის აღკვეთილ, ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილ და თეთრობის აღკვეთილ ტერიტორიებს), ასევე - 2001 წელს შექმნილი კოლხეთის ეროვნული პარკი, ამავე წელს - ჯავახეთის ეროვნული პარკი, 2003 წელს შექმნილი თუშეთის საელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი და დაცული ლანდშაფტი, ვაშლოვნის ნაკრძალი და ილიტოს აღკვეთილი ტერიტორიები, სათაფლიის მღვიმეები, რომლებსაც 2007 წლიდან ბუნების ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ამ პერიოდში საგურამოს ბაზაზე თბილისის ეროვნული პარკიც ჩამოყალიბდა.

საინტერესო საიტები:

<http://www.iucn.org>

www.dpa.gov.ge

<http://ekofact.com>